„მეუ“-ს წარმომადგენლებმა პოლიციის დახმარებით დაიკავეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძარი კომაროვციში



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 10.03.2025. 6 მარტს, უკრაინის ჩერნოვიცის ოლქის სოფელ კომაროვციში, „მეუ“-ს წარმომადგენლებმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი დაიპყრეს. როგორც **ტელეგრამ-არხი «Orthobuk»** იტყობინება, თავდამსხმელებს ტაძრის დაპყრობაში პოლიცია ეხმარებოდა.

აღნიშნულია, რომ ტაძარში შეჭრის მონაწილეებმა ისარგებლეს იმით, რომ უმე-ს ჩერნოვიცისა და ბუკოვინის ეპარქიის სტოროჟინეცის რაიონის კთილმოწესე, დეკანოზი ვასილი კოვალჩუკი საავადმყოფოში იმყოფებოდა.

მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ცნობით, მღვდელი საავადმყოფოში გადაიყვანეს **ინფარქტისწინა მდგომარეობით** მას შემდეგ, რაც იმავე დღეს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მის

სახლში ჩხრეკა ჩაატარა. ტელეგრამ-არხი **„დოზორი“** „პირველ კაზაკზე" იტყობინება, რომ სპეცსამსახურების წარმომადგენლები ჩხრეკის ჩასატარებლად მივიდნენ „უმე“-ს ოდიოზური სასულიერო პირის, რომან გრიშჩუკის დასმენის საფუძველზე, რომელსაც ბუკოვინაში სერიულად „გადააქვს“ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრები სქიზმატურ სტრუქტურაში.

ბოლო თვეების განმავლობაში რეგიონში სქიზმის წარმომადგენლებთან დაკავშირებული „აქტივისტების“ მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრების ძალადობრივი მიტაცების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრებმა არაერთხელ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს უკანონო ქმედებების შეჩერების მოთხოვნით, თუმცა სათანადო რეაგირება ამას არ მოჰყოლია.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92949/